



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, კასპიის რეგიონის დასავლეთთან დამაკავშირებელი ენერგეტიკული დერეფნის შემადგენელი პროექტი.

1999 წ. 19 ნოემბ. უთოს ქვეყნების ლიდერთა სტამბოლის სამიტზე საქართვე., აზერბ. და თურქეთის პრეზიდენტებმა - ე. შევარდნაძემ, პ. ალიევმა და ს. დემირელმა, აშშ-ის პრეზიდენტ უ. კლინტონის თანდასწრებით ხელი მოაწერეს ბ.-თ.-ჯ.ნ-ის პროექტის სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას. საპროექტო სამუშაოები 2002 ივნისში დასრულდა, მშენებლობა დაიწყო 2003 გაზაფხულზე და დამთავრდა 2005 დასაწყისში. პროექტში ინვესტიციების მოცულობა განსაზღვრული იყო 2,9 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობით, აქედან საქართვე. ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობაში ინვესტირებული იყო 514,7 მლნ. აშშ დოლარი. ნავთობსადენი სათავეს იღებს ბაქოს მახლობლად განლაგებული სანგაჩალის ნავთობის ტერმინალიდან და აზერბ., საქართვე. და თურქეთის ტერიტორიების გავლით უკავშირდება ხმელთაშუა ზღვის ღრმანწყლოვან ტერმინალს ჯეიჰანში (თურქეთი). ნავთობსადენის საერთო სიგრძე 1776 კმ-ია, მ. შ. აზერბ. ტერიტორიაზე - 449 კმ, საქართვე. - 235 კმ და თურქეთის -1092 კმ. მილსადენის საქართვე. მონაკვეთის დიამეტრი 1168 მმ-ია, წლ. საპროექტო გამტარუნარიანობა 50 მლნ. ტ (1 მლნ. ბარელი/დღ-ღ).

მილსადენს ემსახურება 8 სატუმბი სადგური (მ. შ. 2 საქართვე. ტერიტორიაზე) და მილის მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და გამწმენდი მოწყობილობის გამშვებ-მიმღები სადგურები. ბ.-თ.-ჯ.ნ-ის საშუალებით ხდება, ძირითადად, აზერბ. ოფშორულ, აზერი-ჩირალ-გიუნეშლის საბადოებზე მოპოვებული, აგრეთვე მცირე რაოდენობით ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან ტანკერებით მოწოდებული ნავთობის ტრანსპორტირება.

ნავთობსადენის კომერციული ექსპლუატაციის დაწყებიდან 2022-მდე გადატვირთულია დაახლოებით 505 მლნ. ტ ნავთობი. პროექტით გათვალისწინებული 40-წლიანი ექსპლუატაციის პერიოდში საქართვე. ბიუჯეტი ტრანსპორტირებული ნავთობის სანაცვლოდ, დაახლოებით 1,5-1,7 მლრდ. აშშ დოლარამდე შემოსავალს მიიღებს, სატრანზიტო გადასახადის სახით.

თ. გოჩიაშვილი
